სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ 2012 წლის 26 აპრილს განხილული საქმეების მოკლე მიმოხილვა

- *დიალო ჩეხეთის რესპუბლიკის წინააღმდეგ – განაცხადი №20493/07*

აპლიკანტები იბრაჰიმ დიალო და მამადუ დიან დიალო გვინეის მოქალაქეები არიან, დაიბადნენ 1980 და 1985 წლებში. 2006 წლის შემოდგომით ისინი ჩამოფრინდნენ პრაღის აეროპორტში დაკარიდან (სენეგალი) და მიემგზავრებოდნენ ლისაბონში. ორივე განმცხადებელმა დაიყოვნებლივ მიმართა თავშესაფრის მოთხოვნით და განაცხადა, რომ თუკი ისი დაბრუნდებოდნენ გვინეაში მათ დააპატიმრებდნენ და შესაძლოა, მოეკლათ კიდეც. 2011 წლის 23 ივნისის განჩინებით სტრასბურგის სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-13 მუხლი კონვენციის მე-3 მუხლთან მიმართებაში, რადგან მათი მოთხოვნები თავშესაფრის მიცემასთან დაკავშირებით ჩეხეთის რესპუბლიკის მთავრობამ არ დააკმაყოფილა. სასამართლომ ერთ-ერთ განმცხადებელს, ქალბატონ დიალოს მიაკუთვნა 5.000 ევრო არამატერიალური ზიანის ასაზღაურებლად, მაგრამ სასამართლომ მეორე განმცხადებლის მიმართ 41-ე მუხლის (სამართლიანი დაკმაყოფილება) გამოყენების საკითხი გადადო. სასამართლომ მიიღო ოფიციალური შეტყობინება, რომ მხარეებმა მიაღწიეს შეთანხმებას სამართლიანი დაკმაყოფილების თაობაზე და გადაწყვიტა, რომ განაცხადის დარჩენილი ნაწილი ამოიღოს განსახილველი საკითხების სიიდან.

- *ბუტოლენი სლოვენიის წინააღმდეგ – განაცხადი №41356/08*

აპლიკანტი ბორის ბუტოლენი სლოვენიის მოქალაქეა, დაიბადა 1974 წელს და ცხოვრობს ზეტალეში. ბატონი ბუტოლენი აცხადებს, რომ 2001 წლის 18 თებერვალს იგი ბარში სცემეს პოლიციელებმა, სადაც ბრალი დასდეს მომხმარებლების მიმართ იარაღით მუქარაში. კონვენციის მე-3 მუხლზე დაყრდნობით აპლიკანტი ჩივის, რომ პოლიციელების მხრიდან მის მიმართ განხორციელდა არაადამიანური მოპყრობა და არც მის საჩივრებს მოჰყვა შესაბამისი გამოძიება.

სასამართლომ დაადგინა, რომ განმცხადებლის მიმართ დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლი.

- *მოლოჩკო უკრაინის წინააღმდეგ – განაცხადი №12275/10*

აპლიკანტი პაველ მოლოჩკო გერმანიის მოქალაქეა, დაიბადა 1964 წელს ბელარუსში. 2010 წლის თებერვალში იგი იმყოფებოდა საქმიანი ვიზიტით უკრაინაში, სადაც დააპატიმრეს ბელარუსში გაცემული დაპატიმრების ორდერის საფუძველზე. მას ბრალად ედებოდა ორგანიზებულ დანაშაულში, ძალაუფლების ბოროტად გამოყენებაში, კონტრაბანდასა და მექრთამეობაში. 2011 წლის მაისში განმცხადებელი გაათავისუფლეს და რამდენიმე თვის შემდეგ გაემგზავრა გერმანიაში. განმცხადებელი ამტკიცებდა, რომ ბელორუსში ექსტრდარირების შემთხვევაში მას ემუქრებოდა წამება, ან არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობა, რადგან ხლისუფლების წარმომადგენლები აიძულებდნენ, შეეცვალა წინა ჩვენებები, რომელიც მის წინააღმდეგ აღძრული სისხლის სამართლის სამეზე მისცა. განმცხადებელი ასევე ჩიოდა უკანონობაზე, სამართლებრივი განხილვების ნაკლებობასა და პატიმრობის პირობებზე.

სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლი, მე-5 მუხლის I და IV ნაწილები. განმცხადებლის სასარგებლოდ სახელმწიფოს დაეკისრა 15.000 ევროს გადახდა არამატერიალური ზიანის ასანაზღაურებლად და 15.000 ევროს გადახდა ხარჯებისა და დანახარჯების დასაფარად.

<u>გაჭიანურებით განხილული საქმეების თაობაზე</u>

- ***გობეცი სლოვენიის წინააღმდეგ – განაცხადი №28275/06***
- ***ბლინოვა უკრაინის წინააღმდეგ – განაცხადი №2248/06***

აღნიშნულ საქმეებში განმცხადებლები ჩივიან, რომ მათი სამოქალაქო საქმეები განხილვა მიმდინარეობდა გაჭიანურებით.

სასამართლომ დაადგინა, რომ ორივე საქმეზე დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილი, ხოლო საქმეზე ***გობეცი სლოვენიის წინააღმდეგ*** *ასევე დაირღვა კონვენციის მე-13 მუხლი.*